საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მანრალები

მანრალები, ქართველი ტომი, იგივე მეგრელები, რომელთა სახელის („მარგალი“) ბერძნული ვარიანტიც უნდა იყოს სახელწოდება მ. (ბერძნ. Μάνραλοι). II ს. ავტორი კლავდიუს პტოლემაიოსი მ-ს უწოდებს კოლხეთის შიგა რაიონების მოსახლეობას. VII ს. „სომხურ გეოგრაფიაში“ ეს სახელი, „მანრილის“ ფორმით, აღნიშნავს კოლხეთის ერთ-ერთ ნაწილს. ამ ძეგლში იგი, შესაძლებელია, სწორედ კლავდიუს პტოლემაიოსის ნაწარმოებიდან მოხვდა.

ლიტ.: ლ ო მ ო უ რ ი ნ., კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1955, ნაკვ. 32; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977; М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

გ. მელიქიშვილი